მემორანდუმი ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ

“საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაცია”-ს (GACS)

და

“საქართველოს კარდიოვასკულარული პერფუზიოლოგიის საზოგადოება”-ს (GSCP)
შორის

პრეამბულა

„საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაცია “(Georgian Association of Cardiac Surgeons – GACS) და „საქართველოს კარდიოვასკულარული პერფუზიოლოგიის საზოგადოება“(Georgian Society of Cardiovascular Perfusion – GSCP)

აცნობიერებენ რა კარდიოვასკულარული პაციენტების მართვის ინტერდისციპლინურ ხასიათს; იზიარებენ რა პასუხისმგებლობას პერიოპერაციული უსაფრთხოების, ჰემოდინამიკური ოპტიმიზაციისა და პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის ხარისხის უზრუნველყოფაში; მტკიცედ ერთგულნი არიან მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინის, უწყვეტი პროფესიული განვითარების და ხარისხის გაუმჯობესების პრინციპებისადმი, რომლებიც შეესაბამება ევროპულ და საერთაშორისო სტანდარტებს.

აფორმებენ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის შესახებ.

მუხლი 1 – მიზანი

მემორანდუმის მიზანია სტრუქტურირებული თანამშრომლობის ჩამოყალიბება, რომელიც უზრუნველყოფს:
- კარდიოვასკულარულ მედიცინაში ინტერდისციპლინური ინტეგრაციის გაძლიერებას;
- ეროვნული კლინიკური პრაქტიკის ჰარმონიზაციას თანამედროვე ევროპულ გაიდლაინებთან;
- პაციენტის უსაფრთხოების და ხარისხის გაუმჯობესების სისტემურ განვითარებას;
- აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას;
- ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული განვითარების მხარდაჭერას.

მუხლი 2 – თანამშრომლობის მიმართულებები

2.1 კლინიკური სტანდარტები:
- ერთობლივი პოზიციური დოკუმენტებისა და ეროვნული რეკომენდაციების შემუშავება;
- პეროპერაციული ჰემოდინამიკური მართვის სტანდარტიზაცია;

- პოსტოპერაციული ინტენსიური თერაპიის პროტოკოლების ჰარმონიზაცია.

2.2 განათლება და ტრენინგი:
- ერთობლივი კონგრესები, სიმპოზიუმები და ვორქშოფები;
- კლინიკური შემთხვევების მულტიდისციპლინური განხილვა;
- სიმულაციური და გუნდური ტრენინგების მხარდაჭერა.

2.3 კვლევა და მონაცემთა განვითარება:
- ეროვნული რეესტრების შექმნა;
- მულტიცენტრული კვლევითი პროექტების განხორციელება;
- საერთაშორისო აკადემიურ ქსელებში ინტეგრაცია.

2.4 ხარისხი და პაციენტის უსაფრთხოება:
- ერთობლივი კლინიკური აუდიტების განხორციელება;
- მორბიდობისა და მორტალობის ანალიზის სტრუქტურების განვითარება;
- ხარისხის ინდიკატორების დანერგვა კარდიოქირურგიულ პრაქტიკაში.

მუხლი 3 – განხორციელების მექანიზმები

მხარეები ქმნიან ერთობლივ საკოორდინაციო კომიტეტს (Joint Coordinating Committee), რომელიც განსაზღვრავს წლიურ სამოქმედო გეგმას, უზრუნველყოფს მისი შესრულების მონიტორინგს და ატარებს რეგულარულ შეხვედრებს (წელიწადში მინიმუმ ორჯერ).

წინამდებარე მემორანდუმი გამოხატავს მხარეთა სტრატეგიულ განზრახვას და არ წარმოშობს იურიდიულ ან ფინანსურ ვალდებულებებს, თუ ეს ცალკე წერილობით არ განისაზღვრა.

მუხლი 4 – ვადა

მემორანდუმი ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხუთი (5) წლის განმავლობაში, ურთიერთშეთანხმებით განახლების შესაძლებლობით.

ხელმოწერები

საქართველოს კარდიოქირურგთა ასოციაცია (GACS)
_____ ზაზა კაციტაძე (GACS-ის პრეზიდენტი)

საქართველოს კარდიოვასკულარული პერფუზიოლოგიის საზოგადოება (GSCP)
_____ გიორგი შაიმშელაშვილი (GSCP-ის პრეზიდენტი)

თარიღი: 17.03.2026